



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის დახმარებით

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 102 მილიონ ევროს. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში არის შეამციროს სიღარიბე სოფლად. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას.

ENPARD-ის მცირე ფერმერთა კოოპერაციის კომპონენტს ახორციელებენ კონსორციუმში გაერთიანებული ორგანიზაციები: CARE, OXFAM, Mercy Corps, PIN და UNDP საქართველო. 2017 წლის 20 ნოემბრისთვის, პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით უკვე დაფინანსდა 280-ზე მეტი კოოპერატივი (დამატებით რამდენიმეს დაფინანსება იგეგმება 2017 წელშიც). ENPARD-ი განმახორციელებელი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, მხარს უჭერს კოოპერატივებს - გადასცემს მათ აქტივებს (ძირითადად, გრძელვადიან აქტივებს), ახორციელებს მათ ტექნიკურ დახმარებას ტრენინგებითა და ექსპერტული რჩევებით, ეხმარება კოოპერატივებს ნედლეულისა და მასალების ყიდვის და საბოლოო პროდუქტის გაყიდვისათვის საჭირო საბაზრო კავშირების დამყარებაში.

ქვემოთ აღწერილი ძირითადი დასკვნები წარმოადგენს საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერილი კოოპერატივების განვითარების მოკლე შეჯამებას. შედეგები ეყრდნობა ENPARD-ის გრანტის მიმღებ 281 კოოპერატივში ჩატარებულ კვლევას.

ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება გრძელვადიანი პროცესია, ზუსტი დასკვნების გაკეთება რამდენიმე წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამის მიუხედავად, დღესდღეობით არსებული მონაცემები უკვე იძლევა ევროკავშირის მიერ ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებული კოოპერატივების განვითარებისათვის თვალის მიდევნების საშუალებას და დაინტერესებული მხარეებს აწვდის ინფორმაციას საწყისი ტენდენციების შესახებ.

ძირითადი შედეგები:

საქართველოში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება

წევრები და დასაქმება

- გამოკვლეულ 281 კოოპერატივში ჯამურად იყო 4,666 წევრი (საშუალოდ 16,6 წევრი ერთ კოოპერატივში). თუმცა, თუ გამოვრიცხავთ ორ ყველაზე დიდ კოოპერატივს რომელთა წევრების რაოდენობა თითოეულის შემთხვევაში აღემატება 500-ს, კოოპერატივში საშუალოდ წევრების რიცხვი შეადგენს 10,2-ს (2014 წელს 8,2-თან შედარებით);
- გამოკითხული კოოპერატივების 44% 2017 წელს იყენებდა დაქირავებულ შრომას. სულ დასაქმებული იყო 1,287 ადამიანი, რომელთა უდიდეს ნაწილს (81%) სეზონურად დაქირავებული მუშაკები წარმოადგენდნენ.

გენდერული საკითხები

- გამოკვლეული 281 კოოპერატივიდან:
 - კოოპერატივის წევრების 34% იყო ქალი;
 - გამგეობის წევრების 21% იყო ქალი;
 - დაქირავებულ მუშაკთა 53% იყო ქალი;
- ჯამურად, კოოპერატივის წევრთა ან კოოპერატივის მიერ დაქირავებულ ადამიანთა დაახლოებით 38%-ს შეადგენდნენ ქალები.

კოოპერატივების მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივები

- 2017 წელს, კოოპერატივის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების საშუალო ღირებულება 300%-ზე მეტით გაიზარდა და შეადგინა 227 ათასი ლარი თითოეულ კოოპერატივზე. (2014 წლის 55 ათას ლართან შედარებით);
- გრძელვადიანი აქტივების 23% შემენილ იქნა ევროკავშირის დაფინანსებით, ხოლო დანარჩენი ნაწილი ისეთი წყაროებით, როგორებიცაა: კოოპერატივის წევრთა შენატანები (47%), კოოპერატივის მფლობელობაში მყოფი აქტივები (14%), კოოპერატივის მიერ იჯარით აღებული აქტივები (13%) და სხვა;
- აქტივების 43% მოდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე.

ფინანსური მონაცემები

წარმოებული პროდუქციის ღირებულება

281 გამოკითხული კოოპერატივიდან, 275-მა დააფიქსირა მათ მიერ 2017 წელს წარმოებული პროდუქციის ღირებულება, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 15 მილიონი ლარი. აქედან დაახლოებით 13 მილიონი ლარი იყო 2017 წლის ფინანსური წელიწადის რეალური შემოსავალი, რომლის 40% (5,3 მილიონი ლარი) იყო მოგება.

- საბაზისო წელთან შედარებით (2014), 2017 წელს კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 37%-ით საშუალოდ ერთ კოოპერატივზე გაანგარიშებით;
- თუმცა, თუ შევადარებთ 2016 წელს, ეს მაჩვენებელი 2017 წელს იყო -5% საშუალოდ ერთ კოოპერატივზე გაანგარიშებით. აღნიშნული უმეტესად გამოწვეული იყო არახელსაყრელი კლიმატური პირობებით და დასავლეთ საქართველოში ფაროსანას ეპიდემიური გავრცელებით;
- თუ გამოვრიცხავთ თხილის კოოპერატივებს, რომლებიც ფაროსანას გავრცელებით ყველაზე მეტად დაზარალდნენ (დაავადების გავრცელებასთან ერთად), კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულების სტაბილური ზრდის ტენდენცია შესამჩნევია.

კოოპერატივების მოგება

- საბაზისო წელთან შედარებით (2014), 2017 წელს კოოპერატივების მოგება გაიზარდა 30%-ით საშუალოდ ერთ კოოპერატივზე გაანგარიშებით;

რეინვესტირება

- კოოპერატივების უმრავლესობამ (77%) განაცხადა, რომ კოოპერატივის საქმიანობის გასაავითარებლად მოახდინა მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის რეინვესტირება.

ბაზარი

- უფრო და უფრო მეტი კოოპერატივი ცდილობს საკუთარი ბაზრის გაფართოებას როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ეს დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის, ავსტრიის განვითარების ფონდის, CARE International-ის, Mercy Corps-ის, Oxfam-ისა და PIN-ის ხელშეწყობით. პრეზენტაციის შინაარსი არის მხოლოდ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა პასუხისმგებლობა და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკავშირის, ავსტრიის განვითარების ფონდის, CARE International-ის, Mercy Corps-ის, Oxfam-ის, PIN-ისა და UNDP-ის პოზიციას.

